**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №430**
(გამარტივებული შესყიდვა)

*ქ. თბილისი* *„20“ ოქტომბერი“ 2014 წ.*

ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი **მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის** სახით და მეორე მხრივ, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ჯაფარიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის #155 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**1.1.** „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**1.2.** „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

**1.3.** „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

**1.4.** „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

**1.5.** „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

**1.6.** „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

**2.1.** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 6 (ექვსი) თანამშრომლისათვის (მსმენელები: სოფიკო მაისურაძე, ნინო ჩხენკელი, ბესიკ ბასიაშვილი, მამუკა მენთეშაშვილი, ვახტანგ ოჩხიკიძე, კონსტანტინე ბერიძე) ტრენინგის ორგანიზება და ჩატარების (სასწავლო კურსის ქალაქგანვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ (CPV კოდი - 80530000) მომსახურების შესყიდვა.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

**3.1.** ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1 806.00 (ერთი ათას რვაასექვსი ლარი და 00 თეთრი) ლარს;

**3.2.** ტრენინგის ღირებულება ერთი პირისთვის შეადგენს 301.00 (სამასერთი ლარი და 00 თეთრი) ლარს;

**3.3.** მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**3.4.** დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი

**3.5.** წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**3.6.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

**4.1.** **მიმწოდებელი** ვალდებულია უზრუნველყოს:

**4.1.1.** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 6 (ექვსი) თანამშრომლისათვის სასწავლო პროგრამის „ქალაქგანვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“-ს 12 საათიანი ტრენინგის ორგანიზება და ჩატარება (2014 წლის 21 ოქტომბრიდან 2014 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით) სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო ცენტრში - ქ. თბილისი, გორგასლის #10-ში;

**4.1.2.** ტრენინგი მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს დანართი N 1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

**4.1.3.** მომსახურების გაწევა განახორციელოს სათანადო გამოცდილების, ცოდნისა და უნარების მქონე ტრენერის მეშვეობით;

**4.1.4.** მსმენელ(ებ)ი შესაბამისი სასწავლო მასალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**4.1.5.** სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველა აუცილებელი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასწავლო პროცესების დასრულების შემდგომ გასცეს შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი მსმენელის მიერ, სასწავლო პროგრამის (სასწავლო ხასიათის პროექტის) მხოლოდ „სასწავლო პროცესების მარეგულირებელი ინსტრუქციით" დადგენილი ზღვარის გადალახვის შემთხვევაში;

**4.1.6.** განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

**4.1.7.** განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**4.2.** **შემსყიდველი** ვალდებულია:

**4.2.1.** სასწავლო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი, ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

**4.2.2.** განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

**5.1.** შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

**5.2.** კონტროლს განახორციელებს: **სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის, ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსი სოფიკო მაისურაძე**;

**5.3.** შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

**6.1.** მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

**6.2.** მომსახურების მიღებას აწარმოებს: **სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსი სოფიკო მაისურაძე**;

## 7. ანგარიშსწორება

**7.1.** ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

**7.2.** შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწნებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი)დღის განმავლობაში.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

**8.1.** თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**8.2.** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**9.1.** წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

**9.2.** წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

**9.3.** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

**9.4.** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**9.5.** ამ მუხლის მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს და ვერ მიიღებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს;

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**10.1.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

**10.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

**11.1.** ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

**11.2.** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

**12.1.** მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

**12.2.** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

**12.3.** ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**13.1.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2014 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით.**



20 10

## 14. ფორს-მაჟორი

**14.1.** წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

**14.2.** ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

**14.3.** მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 15. სხვა პირობები

**15.1.** ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>

**სქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** წარმოდგენილი **მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის** სახით,

**ს/კ 203840433**

**მისამართი:** ქ. თბილისი ჭანტურიას №12

**საბანკო რეკვიზიტები:**

ა/ა №200122900

ბანკის კოდი:TRESGE22

<u>მიმწოდებელი</u>

**სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია** წარმოდგენილი დირექტორის **თამარ ჯაფარიძის** სახით,

**ს/კ 206348987**

**მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10

**ტელ:** 2 26 10 26

**საბანკო რეკვიზიტები:** სს „ლიბერთი ბანკი",

ა/ა №GE57LB0121155378019000,

ბანკის კოდი: LBRTGE22

**დიმიტრი ქუმსიშვილი**

**თამარ ჯაფარიძე**

| *„ქალაქგანვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“* | *12 სთ 21.10.14 -7.11. 14* |
|---|---|

- საქართველოს ქალაქების ძირითადი პრობლემები (თბილისი, ბათუმი, ფოთი და რუსთავის მაგალითზე);
- საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისა და ქალაქმშენებლობითი კანონმდებლობის ანალიზი ქალაქგეგმარებითი კუთხით;
- სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის პრობლემატიკა (ეკონომიკის სამინისტრო, ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მერია, საკრებულო...);
- მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი პროგრამები, თანამედროვე ტექნოლოგიები, მეთოდები და ა.შ;
- ურბანული განვითარების სტრატეგიის შემუშავების მეთოდები (ბათუმის, ფოთისა და რუსთავის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმების მაგალითზე);
- ქალაქგანვითარების დოკუმენტაცია (სივრცითი მოწყობის სქემა, პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, განაშენიანების რეგულირების გეგმა) - არსებული პრობლემატიკა, შემადგენლობა და დამუშავების მეთოდოლოგია;
- ტრანსპორტის ორგანიზების პრობლემატიკა საქართველოს ქალაქებში და ევროპული ქალაქების გამოცდილება;
- ეკოლოგიური პრობლემები ქალაქგეგმარებით ჭრილში და მათი გადაჭრის გზები;
- სოციალური ინფრასტრუქტურის როლი ქალაქის განვითარებაში და დაფიციტის ნეგატიური შედეგები (საბავშვო ბაღები, სკოლები, სახანძრო-სამაშველო სამსახურები, პოლიკლინიკები, ნაგავსაყრელები და ა.შ.)
- ადამიანური რესურსის დეფიციტი ქალაქგეგმარებით სპეციალობაში და ამ დარგის პოპულარიზაციის გზები.

<u>შემსყიდველი</u>

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** წარმოდგენილი **მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის** სახით,

**ს/კ 203840433**

**მისამართი:** ქ. თბილისი ჭანტურიას №12

**საბანკო რეკვიზიტები:**

ა/ა №200122900

ბანკის კოდი:TRESGE22

**დიმიტრი ქუმსიშვილი**

<u>მიმწოდებელი</u>

**სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია** წარმოდგენილი დირექტორის **თამარ ჯაფარიძის** სახით,

**ს/კ 206348987**

**მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10

**ტელ:** 2 26 10 26

**საბანკო რეკვიზიტები:** სს „ლიბერთი ბანკი“,

ა/ა №GE57LB0121155378019000,

ბანკის კოდი: LBRTGE22

**თამარ ჯაფარიძე**